ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01173422823**

თარიღი: **08.12.2017**

ადრესატი:
იოსებ მდინარაძე
პირადი ნომერი: 01024009459
მისამართი: თბილისი ა.ცაგარელის ქ. N 10

ბატონო იოსებ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/01172922078-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-19/01172922078-17

"08" 12 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ნუცუბიძის პლატოზე, II, III და IV მ/რ-ების მიმდებარე ტერიტორიაზე (საკ. კოდი №01.14.16.015.127) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №2487579 06.04.2016წ.
მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2600684 24.05.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ნუცუბიძის პლატოზე, II, III და IV მ/რ-ების მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადი „დ-ა“: +0.00 ნიშნულზე „ბ-ბ“ ღერძის მარჯვნივ ღიობს მონაცვლებული აქვს ადგილი.
+3.30 ნიშნულზე: გაზრდილია კოლონების გაბარიტები.
+23.10 ნიშნულზე: „გ-გ“ ღერძის მარჯვნივ „3-3“ ღერძთან დამატებით მოწყობილია ლითონის კიბე, ხოლო „3-4“ მონაკვეთში - მცირე ზომის ღიობი. შეცვლილია კიბის ბაქნის გაბარიტი. „3-4“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლიფტის სამანქანე. „5-5“ ღერძზე „გ-ბ“ მონაკვეთში შეცვლილია შახტის გაბარიტები.
+3.30 ნიშნულის ქვეშ ფასადებზე არ არის შესრულებული რთული დეკორატიული ლესვა. ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატები. შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტები. სართულშუა გადახურვის ფილები დათხელებულია. მონოლითური და ბლოკის კედლები არ არის დატანილი განსხვავებული აღნიშვნით. ფასადებზე დამატებით მოწყობილია წყლის შემკრები მილები, კონდიციონერები, გამათბობლის ქვაბები და სატელიტური ანტენები. ”დ-ა” მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გამწობი მილი.
„1-1“ და „ა-ა“ ღერძების გარეთ საყრდენ კედლებს მონაცვლებული აქვთ ადგილი. ტერიტორიის პერიმეტრზე საყრდენი კედლები შესაღებია, რომლებზეც დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო მილები.
შეცვლილია საკადასტრო საზღვრების კონფიგურაცია.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ” ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ნუცუბიძე პლაზა“-ს, ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ნუცუბიძის პლატოზე, II, III და IV მ/რ-ების მიმდებარე ტერიტორიაზე (საკ. კოდი №01.14.16.015.127) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/011729 22078-17 19.10.2017წ. განცხადება.
№წ-19/011729 22078-17 20.10.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე